




Reform assistance
to Georgia

საქართველოში რეფორმების
განხორციელებაში დახმარება



ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური

თბილისი
19 ივნისი, 2018 წ.

გაუმჯობესებული ფინანსური ანგარიშგება IV კატეგორიის საწარმოებისთვის ფინანსებზე მარტივი წვდომისთვის

*სამუშაო შეხვედრა ადგილობრივი და საერთაშორისო საბანკო სექტორისა და
ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლებთან*

19 ივნისს, სასტუმროში „რუმს თბილისი“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინიციატივითა და დიდი ბრიტანეთის კარგი მმართველობის ფონდის მხარდაჭერით, მეოთხე



კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების ახალი სტანდარტის სამუშაო ვერსიის პრეზენტაცია გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს კარგი მმართველობის ფონდის ეკონომიკური პროექტების მენეჯერმა გივი ჭანუყვამეძემ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა იური დოლიძემ.

შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი და საერთაშორისო საბანკო სექტორისა და ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენელთა ინფორმირებას ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესახებ და

მათი მოსაზრებების მოსმენას სტანდარტის შემუშავების საბოლოო ეტაპზე, აგრეთვე, სტანდარტის ერთ-ერთი მთავარი სარგებლის - მეოთხე კატეგორიის საწარმოებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის პერსპექტივების განხილვას.

„ფინანსური ანგარიშგების გამარტივებული სტანდარტის მთავარი მიზანია საწარმოებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და საგადასახადო ადმინისტრირების წნეხის შემცირება. იგი სრულად ითვალისწინებს ევროკავშირის მინიმალურ მოთხოვნებსა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას,“ - აღნიშნა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსმა, დავით მჭედლიძემ პრეზენტაციაზე.

სტანდარტის შემუშავების პროცესში განხორციელდა საქართველოს, ესტონეთის, გაერთიანებული სამეფოს, პოლონეთის, ირლანდიისა და სინგაპურის საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების (GAAP), ჩატარდა მე-4 კატეგორიის საწარმოების ელექტრონული გამოკითხვა და ჩაღრმავებული ინტერვიუები ბუღალტრებთან. ამასთან, შეიქმნა ბუღალტრების, შემოსავლების სამსახურის, კანონმდებლების, ბანკებისა და პროფესიული ასოციაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის უშუალო მონაწილეობითაც შემუშავდა ფინანსური ანგარიშგების გამარტივებული სტანდარტი მეოთხე კატეგორიის საწარმოებისთვის.

„ჩვენი სამსახურის ხელმძღვანელობით მიმდინარე ფინანსური ანგარიშგების რეფორმა სრულად ეხმიანება საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას. რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, გაუმჯობესდეს კორპორატიული მართვის და



სააღრიცხვო დისციპლინა და მნიშვნელოვნად ამაღლდეს ანგარიშგების სანდოობის ხარისხი. მსურს,

ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო საკონსულტაციო ჯგუფს მათი პროფესიონალიზმისა და მაღალი დონის ჩართულობისთვის

სტანდარტის შემუშავების პროცესში, ასევე, მადლობას ვუხდით პროექტის გუნდს გაწეული დახმარებისთვის და ჩვენს დონორს - მხარდაჭერისთვის. ჩვენი მოლოდინია, რომ რეფორმის

განხორციელება ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც სტანდარტის შემუშავების პროცესი,“ - აღნიშნა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა იური დოლიძემ.

კომერციული ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის გამარტივების კუთხით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები და აღნიშნეს, რომ ანგარიშგებისას წარდგენილი სრულყოფილი და სანდო ინფორმაცია მეოთხე კატეგორიის საწარმოებს გაუმარტივებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობას და გააიოლებს სესხის დამტკიცების პროცესს.

პროცედურის თანახმად, ფართო კონსულტაციებით შემუშავებული სტანდარტი დასამტკიცებლად უკვე წარედგინა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის [საბჭოს](#). პროექტის მომდევნო ფაზაში გათვალისწინებულია ფინანსური ანგარიშგების პილოტირება, ასევე, გაიმართება სამუშაო შეხვედრები პროექტის უშუალო ბენეფიციარებთან მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

სამუშაო შეხვედრა გაიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს [ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის](#) ტექნიკური დახმარების პროექტის - „**ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების გაუმჯობესება მე-4 კატეგორიის საწარმოებისთვის**“ ფარგლებში, ბრიტანეთის მთავრობის კარგი მმართველობის ფონდის მხარდაჭერით. პროექტი ითვალისწინებს ფინანსური ანგარიშგების ახალი, გამარტივებული სტანდარტის შემუშავებას, რომელიც [„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის](#) შესაბამისად სამსახურმა უნდა დაადგინოს 2018 წლის 1 ივლისამდე.